ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარინა კვაჭაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის წევრი

გიორგი ქოიავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: კ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.10.2012

საჩივრის რეგისტრაციის №124/12

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

   1.1. 2012 წლის 12 ოქტომბერს კ. ბ.-მ მომართა ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ლ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

   1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ლ. ბ. წარმოადგენს მისი მოწინააღმდეგე მხარის, მ. მ.-ს ინტერესებს, რომელიც ითხოვს მასსა და ა. ყ.-ს შორის დადებული

ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი წარმოადგენს მოპასუხეს მსჯავრდებულ ა. ყ.-თან ერთად.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმის მსვლელობისას მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა ლ. ბ. არაკეთილსინდისიერი ქმედებებით შეძლო სასამართლო პროცესების მის სასარგებლოდ წარმართვა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ლ. ბ. წარმოადგინა მოწმე მ. ჩ., რომელმაც რამდენჯერმე შეცვალა ჩვენება და საბოლოოდ სასამართლოს მისცა ცრუ ჩვენება.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა მ. მ.-ს სარჩელი, რადგან დადასტურდა, რომ საჩივრის ავტორი იყო უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შემძენი. მ. მ.-მ და მისმა ადვოკატმა ლ. ბ. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

1.5. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ბ. 2012 წლის 07 ივნისს სასაჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულა საქმოქალაქო საქმეში მოპასუხე ა. ყ. და მოელაპარაკა ცრუ ჩვენების მიცემაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლ. ბ. სასამართლო პროცესზე მოითხოვა მისი მოწინააღმდეგე მხარის, ა. ყ.-ს დაკითხვა და განაცხადა, რომ ა. ყ. ჩვენებას მისცემდა საჩივრის ავტორის წინააღმდეგ.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ლ. ბ. გამოწერილი აქვს ორდერი ა. ყ.-ს სახელზე, რომელიც ლ. ბ.-ს კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენს სამოქალაქო საქმეზე.

1.7. 2013 წლის 29 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ადვოკატს არ ჰქონდა უფლება, რომ შესულიყო მოწინააღმდეგე მხარესთან და ეწარმოებინა მოლაპარაკება, რადგან იგი იყო მ. მ.-ს და არა ა. ყ.-ს წარმომადგენელი.

2. ადვოკატ ლ. ბ.-ს პოზიცია:

2.1. ადვოკატმა ლ. ბ. 2012 წლის 05 ნოემბერს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება.

2.2. ადვოკატის განმარტებით, იგი არ იცნობს საჩივრის ავტორს, კ. ბ.-ს და საჩივრის რეალური ავტორი არის კ. ბ. ადვოკატი მ. ლ., რომელსაც მასთან პირადი მტრობა აკავშირებს.

2.3. ადვოკატის განმარტებით, იგი წარმოადგებს მ. მ.-ს ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. მ. მ. არის სადაო ბინის ნამდვილი მესაკუთრე.

2.4. ადვოკატის განმარტებით, იგი 2012 წლის 07 ივნისს შეხვდა მსჯავრდებულ ა. ყ.-ს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ა. ყ.-ის ადვოკატ ნ. ს.-თან ერთად. ადვოკატის განმარტებით, მსჯავრდებული ა. ყ. სასამართლო პროცესებზე სთხოვდა შეხვედრას მ. მ.-იას ყოფილ წარმომადგენელს ი. ჭ.-ს. ადვოკატის განმარტებით, ადვოკატი ი. ჭ. აღარ იღებს საქმეში მონაწილეობას და ახლა იგი ახორციელებს მ. მ.-ს წარმომადგენელობას. ადვოკატის განმარტებით, მისი შეხვედრა მსჯავრდებულ ა. ყ.-თან მოხდა მსჯავრდებულის თხოვნით.

2.5. ადვოკატის განმარტებით, მას არ მოუხდენია ა. ყ.-ზე ზეგავლენა და ისინი არ შეთანხმებულან, რომ ა. ყ.-ი სასამართლოს ცრუ ჩვენებას მისცემდა. ადვოკატის განმარტებით, ა. ყ. იყენებს დუმილის უფლებას.

2.6. ადვოკატ ლ. ბ.-ს მარწმუნებლის, მ. მ.-ს 2012 წლის 04 ნოემბრის წერილობითი ახსნა-განმარტების თანახმად, ადვოკატი ლ. ბ. კანონიერად და კვალიფიციურად იცავს მის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე. მ. მ.-ს განმარტებით, ადვოკატი ლ. ბ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულ ა. ყ.-ს შეხვდა მისი თხოვნით. მარწმუნებლის განმარტებით, ა. ყ. ჯერ კიდევ მისი ყოფილ წარმომადგენელს, ი. ჭ.-ს სთხოვდა შეხვედრას.

2.7. ადვოკატ ნ. ს.-ს /სიითი №/ 2012 წლის 05 ნოემბერის წერილობითი ახსნა-განმარტებით, იგი 2010 წლიდან წარმოადგენს მსჯავრდებულ ა. ყ.-ის ინტერესებს. ადვოკატ ნ. ს.-ს განცხადებით, ადვოკატმა ლ. ბ. კანონის სრული დაცვით სთხოვა მსჯავრდებულ ა. ყ.-თან შეხვედრა და აღნიშნული შეხვედრა შედგა ა. ყ.-ის ადვოკატის თანდასწრებით. ადვოკატ ნ. ს.-ს განცხადებით, ადვოკატ ლ. ბ.ს ა. ყ.-თან შეხვედრის შესახებ ინფორმირებული იყო მსჯავრდებულის ოჯახი.

2.8. 2013 წლის 29 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ ციხეში ა. ყ.-თან შესვლის ერთადერთი მიზანი იყო თავისი მარწმუნებლის, მ. მ.-ს ინტერესების დაცვა და ახლა მიაჩნია, რომ არასწორად მოიქცა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2012 წლის 12 ნოემბერს ეთიკის კომისიის მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ლ. ბ. ორდერი გამოწერა მსჯავრდებულ ა. ყ.-ის სახელზე და 2012 წლის 07 ივნისს შეხვდა ა. ყ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ადგილი ექნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ან ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას.

3.3 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს მიერ ა. ყ.-ის სახელზე გამოწერილ ორდერს ჰქონდა ფიქტიური ხასიათი და მიზნად ისახავდა არა მსჯავრდებულ ა. ყ.-ის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე, არამედ ადვოკატ ლ. ბ.-ის კლიენტის, მ. მ.-ის ინტერესების დაცვას სამოქალაქო საქმეზე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

3.4 იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ ა. ყ.-ის სახელზე გამოწერილი ორდერი არ ატარებდა ფიქტიურ ხასიათს და ადვოკატი ლ. ბ. წარმოადგენდა ა. ყ.-სა და მ. მ.-ას ინტერესებს ერთსა და იმავე სამოქალაქო საქმეზე, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდაო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ლ. ბ. არის საჩივრის ავტორის, კ. ბ. მოწინააღმდეგე მხარის, მ. მ.-ას წარმომადგენელი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. კ. ბ. 2012 წლის 11 ოქტომბრის საჩივარი (ს.ფ. 2)
2. ადვოკატ ლ. ბ.-ს 05 ნოემბრის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 46)
3. მ. მ.-ს 2012 წლის 04 ნოემბრის განცხადება (ს.ფ. 51)

4.1.2 ადვოკატმა ლ. ბ. გამოწერა ორდერი, სადაც დასაცავ პირად მითითებული იყო მისი მარწმუნებლის პროცესუალური მოწინააღმდეგე, მსჯავრდებული ა. ყ.. ადვოკატმა მსჯავრდებული მოინახულა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ორდერის საფუძველზე სხვა ქმედება არ განუხორციელებია.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. კ. ბ. 2012 წლის 11 ოქტომბრის საჩივარი (ს.ფ. 2)
2. ადვოკატ ლ. ბ.-ს 2012 წლის 05 ნოემბრის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 48)
3. №16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის წერილი № 10/35/7-3524 (ს.ფ. 35)
4. ადვოკატ ლ. ბ.-ს 2013 წლის 29 აპრილის დამატებითი ახსნა-განმარტება (ს.ფ. 74)
5. ეთიკის კომისიის 2013 წლის 29 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი (ს.ფ. 80-81)

4.1.3 დასაცავ პირად ორდერში ა. ყ.-ის მითითების მიზანი იყო არა ა. ყ.-ის, არამედ მ. მ.-ას ინტერესების დაცვა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ლ. ბ.ს 2012 წლის 05 ნოემბრის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 47-48)
2. 2013 წლის 29 აპრილის განხილვის კოლეგიის სხომის ოქმი (ს.ფ. 79-80; 82)

4.1.4 ადვოკატ ლ. ბ.-ის შეხვედრას მსჯავრდებულ ა. ყ.-თან საქმეში არაფერი შეუცვლია, ა. ყ. ისევ დუმილის უფლებით ისარგებლა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ლ. ბ.-ს 2012 წლის 05 ნოემბრის ახსნა-განმარტება (ს.ფ. 48-49)
2. ადვოკატ ლ. ბ.-ს 2013 წლის 29 აპრილის დამატებითი ახსნა-განმარტება (ს.ფ. 74)
3. ეთკის კომისიის 2013 წლის 29 აპრილის განხილვის კოლეგიის სხდომის ოქმი (ს.ფ. 78)

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ის მიერ დარღვეულია ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა

საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

6.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად ,,გამოძიების ორგანოში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი.“ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას.“

6.3 ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია გამოძიების ორგანოსა და სასამართლოში წარმომადგენლობისას კლიენტის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დასადასტურებლად წარადგინოს ორდერი.

6.4 ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერში მითითებული პირის დასაცავად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

6.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №044/10/ განმარტა: ,,საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ადვოკატის მიერ ორდერის გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა.“

6.6 ადვოკატის მიერ მსჯავრდებულის სახელზე ორდერის გამოწერა გულისხმობს ადვოკატსა და მსჯავრდებულ პირს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობას, რაც ადვოკატს აკისრებს ვალდებულებას, იმოქმედოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსითა და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მსჯავრდებული პირის (კლიენტის) ინტერესების დასაცავად.

6.7 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ა. ყ.-ის ადვოკატის, ნ. ს.-ას მიერ ადვოკატ ლ. ბ.-სათვის მიცემული თანხმობა ორდერის საფუძველზე მის კლიენტთან

შეხვედრის თაობაზე არ ათავისუფლებს ადვოკატ ლ. ბ. ორდერის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობისაგან.

6.8 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა არ ხდება უპირველესად და ექსკლუზიურად იმ პირის ინტერესების დაცვის მიზნით, ვინც არის ორდერში მითითებული, ადვოკატმა უარი უნდა თქვას ორდერის გამოწერასა და დაცვის განხორციელებაზე.

6.9 ადვოკატმა ლ. ბ. განხილვის კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ მის მიერ გამოწერილი ორდერი მიზნად ისახავდა არა ა. ყ.-ის ინტერესების დაცვას სისხლის სამართლის საქმეზე, არამედ ადვოკატ ლ. ბ.-ის კლიენტის, მ. მ.-ის ინტერესების დაცვას სამოქალაქო საქმეზე. კერძოდ, ადვოკატმა ლ. ბ. ორდერი გამოწერა თავისი კლიენტის, მ. მ.-ის პროცესულურ მოწინააღმდეგესთან, ა. ყ.-თან შეხვედრისა და საქმეზე ინფორმაციის მიღების მიზნით.

6.10 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ლ. ბ.-ს მიერ გამოწერილ ორდერს ფიქტიური ხასიათი ჰქონდა და მიზნად არ ისახავდა ა. ყ.-ს ინტერესების დაცვას. ორდერის გამოწერას ერთი მიზანი ჰქონდა-ადვოკატ ლ. ბ.-ს შეხვედრის უზრუნველყოფა მსჯავრდებულ ა. ყ.-თან. ფიქტიური ორდერის საფუძველზე ადვოკატ ლ. ბ. და ა. ყ. შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა. ადვოკატ ლ. ბ. ორდერის საფუძველზე სხვა ქმედება არ განუხორციელებია.

6.11 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დისციპლინური პასუხიმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ადვოკატ ლ. ბ.-ს მიდგომა საკითხისადმი, ადვოკატის განცხადება განხილვის კოლეგიის სხდომაზე, რომ არასწორად მოიქცა და არ უნდა გამოეწერა ორდერი სადაც დასაცავ პირად მითითებული იყო მარწმუნებლის პროცესუალური მოწინააღმდეგე. ასევე, განხილვის კოლეგიამ გაითვალისწინა, რომ ადვოკატის ქმედებას შედეგი არ მოჰყოლია და ა. ყ. კვლავ დუმილის უფლებით ისარგებლა.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ლ. ბ.ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. ადვოკატ ლ. ბ. უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /მარინა კვაჭაძე/

კომისიის წევრი: /ემზარ პაქსაძე/

კომისიის წევრი: /გიორგი ქოიავა/